



თბილისის ღია სასწავლო
უნივერსიტეტი

როინ წველიძე

სარჩელის სახეები სამოქალაქო პროცესში, მიკუთვნებითი vs აღიარებითი
სარჩელი

ნაშრომი წარმოდგენილია მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი

ასოცირებული პროფესორი ნინო ხარიტონაშვილი

თბილისი, 0156

საქართველო

2020 წ.

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

„ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერი ვადასტურებთ, რომ გავეცანით როინ წეველიძის მიერ შესრულებულ ნაშრომს დასახელებით: სარჩელის სახეები სამოქალაქო პროცესში, მიკუთვნებითი vs აღიარებითი სარჩელი და ვაძლევთ რეკომენდაციას განხილულ იქნას თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის საგამოცდო კომისიის მიერ მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად“

თარიღი: _____

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნინო ხარიტონაშვილი

რეცენზენტი:

ავტორი: როინ წეველიძე

ნაშრომი: სარჩელის სახეები სამოქალაქო პროცესში, მიკუთვნებითი vs აღიარებითი
სარჩელი

სკოლა: სამართლის

საგანმანათლებლო პროგრამა: კერძო (ბიზნეს) სამართალი

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემოთ მოყვანილი
ნაშრომის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული
მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს თბილისის ღია
სასწავლო უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა

რეზიუმე

ნაშრომი, სარჩელის სახეები სამოქალაქო პროცესში, მიკუთვნებითი vs აღიარებითი სარჩელი, შედგება ორი თავის, ექვსი პარაგრაფის, შესავალის და დასკვნისაგან.

ნაშრომის პირველ თავში, სარჩელის სახეები, განხილულია სარჩელის სახეების არსი და ზოგადი დახასიათება, აღიარებითი სარჩელის ცნება და მისი დასაშვებობის წინაპირობები ,ამავე თავშია განხილული მიკუთვნებითი სარჩელის ცნება .

სასამართლო პრაქტიკაში მიკუთვნებითი სარჩელი საკმაოდ გავრცელებულია, მას აღიარებითი სარჩელისაგან განსხვავებით უფრო რთული საგანი გააჩნია, რადგან მიკუთვნებით სარჩელით მოსარჩელე მხარე არა მხოლოდ სადავო მატერიალური უფლების არსებობის ფაქტის აღიარებას მოითხოვს, არამედ მას სურს, რომ მოპასუხემ შეასრულოს მისთვის სასურველი მოქმედება ან თავი შეიკავოს მოქმედების შესრულებისაგან.

ნაშრომის მეორე თავში, იურიდიული ინტერესის ცნება აღიარებით და მიკუთვნებით სარჩელთან დაკავშირებით და სასამართლოს როლი, განხილულია სარჩელში წარმოდგენილი ფაქტების მტკიცების ტვირთი, სასამართლოს როლი სარჩელის შემოწმებისას, საქმის მომზადების ეტაპის მნიშვნელობა სარჩელის იურიდიული შედეგის განსაზღვრისთვის.

პროცესუალურ სამართალში არსებული პრობლემური საკითხების გადაწყვეტა და შემდეგში ხარვეზების აღმოფხვრა სასამართლოს განმარტებების შედეგად ხორციელდება. სწორედ ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია სასამართლოს როლზე საუბარი.

საკითხის უკეთ გააზრების მიზნით მნიშვნელოვანია, რომ აღიარებითი და მიკუთვნებითი სარჩელის შესახებ არსებული საკითხები განხილულ იქნეს სასამართლო გადაწყვეტილებების ჭრილში. სწორედ ამ მიზნით , ნაშრომში განხილულია სასამართლო გადაწყვეტილებები.

Annotation

The paper, Types of Claim in Civil Proceedings, attributable vs confessional claim, consists of two chapters, six paragraphs, an introduction and a conclusion.

In the first chapter of the paper, the types of claims, the essence and general characterization of the types of claims, the notion of a confessional claim and the preconditions for its admissibility are discussed, in the same chapter the notion of a counterclaim is discussed.

In a case law, a counterclaim is more common than a counterclaim, because a counterclaim requires not only the plaintiff to acknowledge the existence of the disputed material right, but also the defendant's desire to retaliate or refrain from doing so.

In the second chapter of the paper, the notion of legal interest in recognizing and assigning a claim and the role of the court, discusses the burden of proving the facts presented in the claim, the role of the court in examining the claim, the importance of the case preparation stage.

Problem solving in procedural law and subsequent elimination of deficiencies is carried out as a result of court explanations. That is why it is very important to talk about the role of the court.

In order to better understand the issue, it is important that the existing issues of recognition and affiliation be considered in the context of court decisions. For this purpose, the paper discusses court decisions.

სარჩევი

თავი 1. სარჩელის სახეები	9
1.1 სარჩელის სახეების არსი და ზოგადი დახასიათება.....	9
1.2 აღიარებითი სარჩელის ცნება და მისი დასაშვებობის წინაპირობები	15
1.3 მიკუთვნებითი სარჩელის ცნება.....	18
თავი 2 . იურიდიული ინტერესის ცნება აღიარებით და მიკუთვნებით სარჩელთან დაკავშირებით და სასამართლოს როლი.....	23
2.1 სარჩელში წარმოდგენილი ფაქტების მტკიცების ტვირთი	23
2.2 სასამართლოს როლი სარჩელის შემოწმებისას.....	32
2.3 საქმის მომზადების ეტაპის მნიშვნელობა სარჩელის იურიდიული შედეგის განსაზღვრისთვის	40
დასკვნა.....	44

შესავალი

სარჩელის კლასიფიკაციის საკითხი იურისპრუდენციაში საკმაოდ აქტუალურ საკითხს წარმოადგენს. მის ირგვლის მუდმივად აზრთა სხვადასხვაობაა. სარჩელის კლასიფიკაციასთან დაკავშირებული საკითხები განხილვის საგანია სამეცნიერო საზოგადოებაში, პრაქტიკაში კი პრობლემატურია მისი გამიჯვნა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სარჩელის ინტიტუტი სამეცნიერო და პრაქტიკულ მნიშვნელობას არ კარგავს. სარჩელის არსსა და კლასიფიკაციაზე ჩამოყალიბებულ დასკვნებს სამართლის სუბიექტებისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

თანამედროვე საზოგადოებაში სარჩელი უფლებისა და კანონიერი ინტერესის დაცვის საშუალებას იძლევა. ამიტომ სამოქალაქო პროცესუალურ სამართალში პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება სარჩელთა კლასიფიკაციის პრობლემის გამოკვლევას.

სწორედ სამეცნიერო დონეზე შესწავლილი საკითხი შეიძლება დაედოს საფუძვლად საკანონმდებლო ცვლილებებს, ასევე აღმოფხვრას პრაქტიკაში არსებული პრობლემები.

კვლევის მიზანი: განსახილველი ნაშრომის კვლევის მიზნად განისაზღვრა მიკუთვნებითი და აღიარებითი სარჩელის არსის გარკვევა, ასევე პრაქტიკაში მათი გამიჯვნის საკითხზე წარმოშობილი პრობლემების კვლევა.

კვლევის ამოცანა: კვლევის მიზნიდან გამომდინარე, კვლევის ამოცანად განისაზღვრა:

- მიკუთვნებითი და აღიარებითი სარჩელის არსის კვლევა.

- პრაქტიკაში არსებული პრობლემების კვლევა და ანალიზი, შესაბამისი დასკვნების წარმოდგენის მიზნით.

კვლევის მეთოდოლოგია: კვლევისას გამოყენებულია თვისობრივი კვლევის მეთოდოლოგია, რადგან თვისობრივი კვლევა საშუალებას იძლევა საკითხი შესწავლილ იქნეს ძირეულად და წარმოდგენილი იქნეს შესაბამისი დასკვნები.

საკითხის პრაქტიკული მნიშვნელობა: საკითხი მნიშვნელოვანია, როგორც სამოქალაქო საპროცესო სამართლით დაინტერესებულიადამიანებისათვის, ასევე პრაქტიკოსი იურისტებისთვისაც.

თავი 1. სარჩელის სახეები

1.1 სარჩელის სახეების არსი და ზოგადი დახასიათება

სარჩელის არსისა და კლასიფიკაციის შესახებ მსჯელობა სამეცნიერო წრეებში აქტუალობას არ კარგავს. აზრთა სხვადასხვაობა ამ საკითხებზე მუდმივად არსებობს. ზოგადად, სარჩელების კლასიფიკაციის ძირითადი დანიშნულება ის არის, რომ მისი საშუალებით, შესაძლებელია ყურადღების გამახვილება, სასარჩელო ფორმის ზოგად თვისებებზე და ინტერესების დაცვის თავისებურებებზე. ასევე, სასამართლოების მიერ სარჩელების განხილვისა თავისებურებებზე.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული აზრის შესაბამისად, ერთმანეთისაგან განსასხვავებენ:

- სარჩელებს საპროცესო სამართლებრივი თვალსაზრისით;
- სარჩელებს მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით.

სხვათა აზრით სარჩელი ერთიანი ცნებაა და მას აქვს ორი მხარე:¹

- საპროცესო სამართლებრივი - რაშიც იგულისხმება სადაო უფლების დასაცავად სასამართლოსადმი მიმართვა შუამდგომლობით.
- მატერიალურსამართლებრივი - იგულისხმება მოპასუხისადმი მოსარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა.

თითქოს აზრთა ასხვადასხვაობა ნათელია, მაგრამ ვფიქრობ შეხედულებები ერთმანეს არ ეწინააღმდეგება. იგივე აზრია გატარებული საპროცესო ნორმების კომენტარებში, კერძოდ ავტორების აზრით ზემოთ აღნიშნული ორივე

¹ იხ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები, ხრუსტალი ვ., ლილუაშვილი თ., თბილისი, 2007, 271.

შეხედულების მქონე პირებს სარჩელის საპროცესო სამართლებრივი მხარე და მატერიალურ-სამართლებრივი მხარე ერთნაირად ესმით, რადგან მათი აზრით სარჩელი მატერიალურსამართლებრივი თვალსაზრისით სარჩელის საგნის ანალოგია. ანუ სარჩელი საპროცესო სამართლებრივი ინსტიტუტია, მაგრამ იგი არ არსებობს მოპასუხისადმი წაყენებული მოთხოვნის გარეშე.²

განვიხილოთ, სარჩელის სახეები მატერიალური ნიშნით. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით ქართული სამოქალაქო საპროცესო მეცნიერება მრავალფეროვანი არ არის, თუმცა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ მოსარჩელის მოთხოვნათა შესაბამისად შესაძლებელია სარჩელის კლასიფიკაცია.³

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული შეხედულების შესაბამისად, მატერიალურ სამართალში სარჩელის ძირითადი სახეებია:

- სანივთოსამართლებრივი სარჩელები - სავინდიკაციო და ნეგატორული სარჩელები.

სავინდიკაციო სარჩელი კანონიერი მფლობელის ან არამფლობელი მესაკუთრის სარჩელი, რომელიც მიმართულია უკანონო მფლობელის წინააღმდეგ.

ნეგატორული სარჩელი ნივთის მფლობელობის დაკარგვასთან არ არის დაკავშირებული, მაგრამ პირი/ მოსარჩელე მოკლებულია თავისი უფლებამოსილების განხორციელების შესაძლებლობას, რადგან სხვა პირი ხელს უშლის უფლების რეალიზებაში.

- ვალდებულებითი-სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო სარჩელები მიმართულია უფლების დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენისკენ.

² იხ., სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები, ლილუაშვილი თ, ხრუსტალი ვ, თბ., 2007, 310

³ იხ. სუსგ საქმეზე №ას-302-285-2017, 16 ივნისი, 2017 წელი.

უფრო კონკრეტულად კი დელიქტური სარჩელი არასახელმწიფოებო ზიანის ანაზღაურებისკენაა მიმართული. დელიქტური სარჩელით ზიანის ანაზღაურება შესაძლებელია ნატურით ან ფულადი სახით.

კონდიციური სარჩელი კი მიმართულია სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მიღებული სიკეთის უკან დაბრუნებისაკენ. კონდიციური სარჩელით მიიღწევა ქონებრივი მიმოქცევის წონასწორობის აღდგენა.⁴

სამართალურთიერთობების ხელყოფის ხასიათის მიხედვით სარჩელებს ყოფენ შემდეგ სახეებად:

- სამოქალაქო სარჩელი.
- ადმინისტრაციული სარჩელი.

სარჩელებს ყოფენ მისი განმხილველი ორგანოს შესაბამისადაც, კერძოდ:

- სამართლებრივ სარჩელებად;
- საარბიტრაჟო სარჩელებად.

სამართლებრივი სარჩელების ორი კატეგორია არსებობს:

- სამოქალაქო სამართლებრივი სარჩელებად, რომლებიც სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება;
- ადმინისტრაციულ სამართლებრივი სარჩელები, რომლებიც ადმინისტრაციულსამართლებრივი წესით განიხილება.

სადავო ურთიერთობიდან გამომდინარეც განასხვავებენ სარჩელებს:

- სარჩელები, რომლებიც სამოქალაქო, შრომითი და სხვა კერძო-სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარეობენ.

⁴ იხ., ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. II, გამოცემის მეცნიერული რედაქცია და ზოლოთქმა თ. ნინიძის, თარგმანი ე. სუმბათაშვილის, თბ., 2001, 228.

- სარჩელები, რომლებიც ადმინისტრაციული და სხვა საჯარო-სამართლებლივი ურთიერთობებიდან გამომდინარეობენ.

სწორედ ზემოთ აღნიშნულ კლასიფიკაციას უწოდებენ მატერიალურ-სამართლებრივს.⁵

რაც შეეხება, პროცესუალური ნიშნით სარჩელის სახეებს, მათ შემდეგ საახეობებად ყოფენ:

- მიკუთვნებითი ანუ აღსრულებითი სარჩელები,
- გარდაქმნითი და აღიარებითი ანუ დადგენითი სარჩელები.

მეცნიერთა ნაწილის აზრით, სამოქალაქო უფლების დაცვის ხერხები იყოფა სახეობებად და არა სარჩელები. მეცნიერი კ. ლოგინოვი ამ პოზიციის გასამყარებლად აღნიშნავდა, რომ სარჩელი დაცვის ხერხის მიუხედავად, თავისი არსით იგივე რჩება, რადგანაც დაცვის ხერხზე მისი ბუნება დამოკიდებული არ არის.⁶ სარჩელის ბუნება, ნამდვილად არ იცვლება დარღვეული უფლების აღსადგენად შერჩეული ხერხის გამო, მით უმეტეს, რომ ნებისმიერი სარჩელი, გულისხმობს მისი დაცვისათვის განსაზღვრული ხერხის არსებობას. აქედან გამომდინარე ეს არ ეწინააღმდეგება სარჩელების დაყოფას.

სარჩელების კლასიფიკაციის განხილვისას აუცილებლად უნდა იქნეს განხილული გარდაქმნითი სარჩელები. გარდაქმნითი სარჩელები სასამართლო გადაწყვეტილების მეშვეობით ცვლიან ან წყვეტენ სამართალურთიერთობებს.⁷ მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ გარდაქმნითი სარჩელები, სარჩელის

⁵ იხ. ცკიტაშვილი მ., რეზიუმე „სარჩელების კლასიფიკაცია“, თბილისი, 3.

⁶ Логинов П.В. 1983. Понятие иска и исковой формы защиты права // Сов. ГиП. . № 2.

⁷ Гурвич М. А. 1981. Учение об иске (состав, виды): Учебное пособие. Москва. Вьюзи;

განსხვავებულ ფორმად არ უნდა ჩაითვალოს, რადგან გარდაქმნითი სარჩელები, იგივე აღიარებითი სარჩელებია.⁸

გარდაქმნითი სარჩელის შესახებ ზემოთ განხილულ მოსაზრებას ეთანხმება მეცნიერთა ნაწილი, თუმცა არ ეთანხმებიან იმაში, რომ სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას არ აქვს იურიდიული ფაქტის მნიშვნელობა.⁹ რაც ვფიქრობ, რომ არასწორი მოსაზრებაა, რადგან სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულება სავალდებულოა საქართველოს მთელს ტერიტორიაზე და უნდა შესრულდეს.

კანონის შესაბამისად გარდაქმნითია სარჩელები, რომლებიც მიმართულია არსებული სამართალურთიერთობის შეცვლაზე და შეწყვეტაზე.¹⁰ სწორედ ამ მიზეზის გამო, ქონების დაყადაღება-გათავისუფლების შესახებ სარჩელი, სასამართლომ არ შეიძლება განიხილოს, როგორც გარდაქმნითი სარჩელი.¹¹

რაც შეეხება ზემოაღნიშნულ საკითხებზე ქართველი მეცნიერების მოსაზრებებს,

თ. ლილუაშვილის მოსაზრებით, მიკუთვნებითი სარჩელები, რომლებიც აღსრულებით სარჩელებსაც უწოდებენ, ყველაზე მეტად გავრცელებული სარჩელებია. ასეთ სარჩელებს მიეკუთვნება: ¹²

- ვალის დაბრუნება,
- ლიზინგის საგნის დაბრუნება,

⁸ იხ. ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართლის კომენტარი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1992.

⁹ იხ., სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები, ლილუაშვილი თ, ხრუსტალი ვ, თბ., 2007,

¹⁰ Добровольский А.А.; Иваново С. А.1979.Основные проблемы исковой формы защиты права. Москва.Издю-во Моск ун-та;

¹¹ მაგ: ყადაღისაგან ქონებზის გათავისუფლების შესახებ მესამე პირის სარჩელის აღძვრის უფლებას აწესებს „სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი, მიღ. 1999 წლის 16 აპრილს, 2019 წლის 7 თებერვლის მდგომარეობით, მუხლი 32.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/18442?publication=90>

¹² იხ. ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართლის კომენტარი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1992

- ბინის განთავისუფლება,
- ალიმენტის გადახდა,
- სამუშაოზე აღდგენა და ა.შ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განმარტებით, სარჩელის ძირითად სახეებად შემდეგი სარჩელები გვევლინება:¹³

- მიკუთვნებითი სარჩელები,
- გარდაქმნითი სარჩელები,
- აღიარებითი სარჩელები.

მიკუთვნებითი და გარდაქმნითი სარჩელების დამახასიათებელი ნიშანია, ის რომ მათზე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება რეალური და აღსრულებადია.

რაც შეეხება აღიარებით სარჩელს, ისიც მიმართულია დარღვეული / სადაო უფლების დასაცავად. აღიარებითი სარჩელის დეფინიციას სსსკ-ის 180 მუხლი იძლევა, რომლის შესაბამისადაც: „თუ მოსარჩელეს აქვს იმის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს. აღიარებითი სარჩელი შეიძლება აღიძრას.“¹⁴

- უფლებისა არსებობა-არარსებობის დადგენის მიზნით,
- სამართლებრივი ურთიერთობების არსებობა-არარსებობის დადგენის მიზნით,
- დოკუმენტების ნამდვილობის აღიარების მიზნით,
- დოკუმენტების სიყალბის დადგენის აღიარების შესახებ.

გარდა ამისა, აღიარებითი სარჩელი უნდა შეესაბამებოდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლს. დავის მიმართ იურიდიული ინტერესის

¹³ სუსგ საქმეზე №ას-302-285-2017, 16 ივნისი, 2017 წელი

¹⁴ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 180 -
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=140>

არსებობის შემოწმება სამართლის პრეროგატივაა. თუმცა, სარჩელისადმი იურიდიული ინტერესის არსებობა განპირობებულია არა მხოლოდ მხარის ინტერესით, არამედ მატერიალურ-სამართლებრივი დანაწესითაც.

1.2 აღიარებითი სარჩელის ცნება და მისი დასაშვებობის წინაპირობები

აღიარებითი სარჩელის ცნება მოცემულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლში, რომლის შესაბამისადაც: „აღიარებითი სარჩელი შეიძლება აღიძრას უფლებისა და სამართლებრივი ურთიერთობების არსებობა-არარსებობის დადგენის, დოკუმენტების ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტების სიყალბის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს ამის იურიდიული ინტერესი“¹⁵.

აღიარებითი სარჩელისათვის დამახასიათებელი მოდავე მხარეების არსებობა ანუ ამ სარჩელს ჰყავს მოსარჩელე და მოპასუხე.¹⁶

იმისათვის, რომ აღიარებითმა სარჩელმა გაიაროს დასაშვებობისათვის არსებული პირობები, აუცილებელია იმ წინაპირობის არსებობა, რომელიც დადგენილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლით.

აღიარებითი სარჩელი სასამართლომ რომ მიიჩნიოს დასაშვებათ, აუცილებელია, რომ იგი აკმაყოფილებდეს ქვემოთ ჩამოთვლილ წინაპირობებს:

¹⁵ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 180 - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=140>

¹⁶ შდრ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (შემდგომში: სსკ), 2019 წლის 28 ივნისის მდგომარეობით, 310-ე მუხლი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=103>

- უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობების არსებობის ან არარსებობის, დოკუმენტების ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტების სიყალბის დადგენის მიზანი;
- სასამართლო წესით ასეთი აღიარების თაობაზე მოსარჩელის იურიდიული ინტერესი.

როგორც ვხედავთ, აღიარებითი სარჩელის დასაშვებად აუცილებელია, რომ მოსარჩელეს ჰქონდეს იურიდიული ინტერესი სასამართლო წესით აღიარებასთან. ამას ადასტურებს საქართველოს სასამართლოების მიერ დადგენილი პრაქტიკაც.

სააკველაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე¹⁷ მიიჩნია, რომ პირველ რიგში, შესამოწმებელია აღიარებითი სარჩელის დასაშვებობა. პალატის განმარტებით აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის და დასაბუთებულობის საკითხის შემოწმება სასამართლომ საკუთარი ინიციატივით უნდა მოახდინოს, საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე. აქედან გამომდინარე, გასაგებია, რომ აღიარებითი სარჩელი დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მოსარჩელის იურიდიული ინტერესი გამოკვეთილი იქნება. იმ შემთხვევაში კი თუ არ არსებობს იურიდიული ინტერესი, მოსარჩელეს უარი უნდა ეთქვას აღიარებითი სარჩელის მიღებაზე და განხილვაზე.¹⁸

აღიარებით სარჩელებს მიეკუთვნება, მაგალითად:

- მამობის დადგენა,
- ქორწინების ბათილად ცნობა,
- ხელოვნების ნაწარმოების ავტორად აღიარება და სხვა.

¹⁷ იხ. სუსგ საქმე №ას- 121-117-2016, 17 მარტი, 2016 წელი.

¹⁸ იხ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები, ლილუაშვილი თ, ხრუსტალი ვ, თბ., 2007,გვ.

აღიარებითი სარჩელის მიზანი უფლების სადავოობის აღმოფხვრსა. თუმცა, სარჩელით სასამართლოსადმი მიმართვის დროისათვის, შესაძლოა პირის უფლება დარღვეული არ იყოს, მაგრამ მოსარჩელეს ჰქონდეს იმის ვარაუდი, რომ შესაძლოა მისი უფლება მომავალში დაირღვეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, იურიდიული ინტერესის არსებობისათვის, რომელიც აღიარებითი სარჩელის მიღებისა და განხილვის წინაპირობას წარმოადგენს, აუცილებელია, რომ:

- მოსარჩელეს ედავებოდნენ უფლებაში;
- არსებობს ვარაუდი, რომ დავის არსებობა მომავალში მოსარჩელის უფლების დარღვევას გამოიწვევს;
- დავის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალება აღიარებითი სარჩელის გადაწყვეტა უნდა იყოს;
- აღიარებითი სარჩელი დაუშვებელია, თუ შესაძლებელია რომ აღიძრას მიკუთვნებითი სარჩელი.¹⁹

აღიარებით სარჩელთან დაკავშირებულ საქმეზე, საკასაციო პალატამ იმ მოტივით, რომ მოსარჩელე მხარის უფლების დარღვევის მოცემულობას არ შეიცავდა სარჩელი, საქმე განუხილველად დატოვა და განმარტა, რომ: „მოსარჩელემ პირგასამტეხლოს შესაბამისობასთან დაკავშირებით თავისი პოზიცია მას შემდეგ უნდა დააყენოს, რაც კასატორი მის მიმართ წარადგენს სასარჩელო მოთხოვნას პირგასამტეხლოს კონკრეტული ოდენობის დაკისრების შესახებ. სხვა შემთხვევაში უფლების დარღვევა არ არსებობს და შესაბამისად უფლებაში შედავებაც უსაფუძვლოა.“²⁰

¹⁹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება საქმეზე Nას-664-635-2016, 2 მარტი, 2017 წელი. Nას-869-819-2015, 11 დეკემბერი, 2015წ; Nას-1025-967-2015

²⁰ იხ. სუსგ საქმეზე Nას-955-2018, 16 ნოემბერი, 2018 წელი.

ამავე საკითხთან დაკავშირებით, აღსანიშნავია საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები, სადაც მითითებულია, რომ თუ აღიარებითი სარჩელიდან არ ჩანს მოსარჩელის ინტერესი, სასამართლომ სსკ-ის 180-ე, 178-ე, 185-ე მუხლების შესაბამისად უარს უნდა თქვას სარჩელის წარმოებაში მიღებაზე.²¹

ამრიგად, აღიარებითი სარჩელი, მისი სამართლებრივი ბუნებით ძალიან ჰგავს იურიდიული ფაქტის დადგენას უდავო წარმოების წესით. მაგრამ, აღიარებითი სარჩელი მკვეთრად განსხვავდება უდავო წარმოების წესით იურიდიული ფაქტის დადგენისაგან. პირველ რიგში იმიტომ, რომ აღიარებითი სარჩელის არსებობის პირობებში დავა მხარეებს შორის მიმდინარეობს. ამასთანავე, აღიარებითი სარჩელი შეიძლება აღიძრას არა მხოლოდ დარღვეული უფლების აღდგენის გამო, არამედ მაშინაც, როცა უფლება ჯერ არ არის დარღვეული, მაგრამ არსებობს საშიშობა, რომ ეს უფლება შეიძლება დაირღვეს. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ აღიარებითი სარჩელი საამისოდ უფლებამოსილმა სუბიექტმა უნდა აღძრას, მოპასუხედ კი დასახელებულ უნდა იქნეს პირი, რომელსაც მოსარჩელეს უფლება ან სამართლებრივი ინტერესი სადავო აქვს.

1.3 მიკუთვნებითი სარჩელის ცნება

სასამართლო პრაქტიკაში მიკუთვნებითი სარჩელი საკმაოდ გავრცელებულია, მას აღიარებითი სარჩელისაგან განსხვავებით უფრო რთული საგანი გააჩნია, რადგან მიკუთვნებით სარჩელით მოსარჩელე მხარე არა მხოლოდ სადავო

²¹ პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის, 2010 წ., უზენაესი სასამართლოს გამოცემა, 33.

მატერიალური უფლების არსებობის ფაქტის აღიარებას მოითხოვს, არამედ მას სურს, რომ მოპასუხემ შეასრულოს მისთვის სასურველი მოქმედება ან თავი შეიკავოს მოქმედების შესრულებისაგან.²²

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, აღიარებითი სარჩელის აღძვრა დაუშვებელია იმ შემთხვევაში თუ მხარეს შეუძლია მიკუთვნებითი სარჩელის აღძვრა. ზემოთ უკვე აღნიშნა, რომ აღიარებითი მოთხოვნა დასაშვებია, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მოსარჩელის იურიდიული ინტერესი იკვეთება. ანუ მოსარჩელეს თუ სურს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს აღიარება მისთვის საინტერესო რომელიმე საკითხზე. აქედან გამომდინარე აღიარებითი სარჩელების მიზანი უფლების სადავოობის აღმოფხვრაა და არა სუბიექტური უფლების მიკუთვნების სურვილი.²³

ასევე, საქართველოს საკასაციო სასამართლოს განმარტებებში აღნიშნულია, რომ სარჩელის დაყოფას მიკუთვნებით, გარდაქმნით და აღიარებით სარჩელებად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რადგან სწორედ ისინი უზრუნველყოფენ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესების შესაბამისი წესით დაცვას.

როდესაც მოსარჩელის ინტერესი დაკავშირებულია განსაზღვრული სამართლებრივი შედეგის მიღწევასთან, მიზანი მხოლოდ მიკუთვნებითი სარჩელით მიიღწევა და რა თქმა უნდა აღიარებითი სარჩელის აღძვრას აზრი არაქვს და არც მიიღება.

მიკუთვნებითი სარჩელი შეიძლება აღიძვრას შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- ქონების დაბრუნება,
- ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება,

²² იხ. ქურდაძე შ., „სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში“, თბილისი, 2016 წ., 479

²³ სუსგ საქმეზე Nas-955-2018, 16 ნოემბერი, 2018 წელი.

- პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა,
- ზიანის ანაზღაურება და სახვა.

ამ და მსგავს საქმეებზე, როგორც უკვე აღნიშნა აღიარებითი სარჩელის აღძვრა დაუშვებელია, რადგან, დარღვეული უფლების აღდგენას პირმა ერთი სარჩელის აღძვრით უნდა მიაღწიოს ანუ აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილებას სასარგებლო შედეგი უნდა მოჰქონდეს მოსარჩელისათვის და მიკუთვნებითი სარჩელის აღძვრის საჭიროება აღარ უნდა არსებობდეს.²⁴

აღიარებით და მიკუთვნებით სარჩელებთან დაკავშირებით, ასევე მნიშვნელოვანია სააპელაციო სასამართლოს შემდეგი განმარტება: „სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს აღიარებით სარჩელს წარმოებაში, თუ მოსარჩელეს აღიარებითი სარჩელის მიმართ იურიდიული ინტერესი გააჩნია. თანაც, აუცილებელია, რომ მოსარჩელემ მიკუთვნებითი მოთხოვნის არარსებობა და აღიარებითი მოთხოვნის მიმართ ინტერესი დაადასტუროს. იმ შემთხვევაში თუ აღიარებითი სარჩელის ინტერესი მიკუთვნებითი ხასიათისაა, მაშინ სასამართლო აღიარებითი სარჩელის წარმოებაში მიღებით პროვოცირებას გაუკეთებს ერთ მოთხოვნაზე ორმაგი წარმოების წარმართვის აუცილებლობას.“²⁵

ერთ-ერთ საქმეზე, სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებულია გადაწყვეტილება ძალაში დატოვა, ისე, რომ არ იმსჯელა იმის შესახებ დასაშვებია იყო აღიარებითი სარჩელი თუ არა. ამასთან დაკავშირებით საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს აუცილებლად უნდა გამოეკვლია, მოსარჩელეს მოპასუხის მიმართ, რა სახის

²⁴ სუსგ საქმეზე Nას-955-2018, 16 ნოემბერი, 2018 წელი.

²⁵ იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება საქმეზე N28/4875-14.

მიკუთვნებითი მოთხოვნა შეიძლება გააჩნდეს, გარდა ამისა უნდა დაედგინა სამართლის ნორმა, რომლიდანაც შეიძლება გამომდინარეობდეს მოთხოვნა.²⁶

²⁶ იხ. სუსგ საქმეზე Nას-1219-1139-2017

თავი 2 . იურიდიული ინტერესის ცნება აღიარებით და მიკუთვნებით სარჩელთან დაკავშირებით და სასამართლოს როლი

2.1 სარჩელში წარმოდგენილი ფაქტების მტკიცების ტვირთი

აღიარებითი სარჩელი სასამართლოში დასაშვებობის ეტაპზე აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს დამატებით პირობას - იურიდიული ინტერესი. შესაძლოა არსებობდეს სარჩელის აღძვრის ყველა პირობა, მაგრამ თუ არ არსებობს იურიდიული ინტერესი, მოსარჩელეს უარი ეთქმება აღიარებით სარჩელის მიღებაზე.

დადგენილი სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად იურიდიული ინტერესის არსებობისათვის მხარეებს შორის უნდა არსებობდეს დავა:²⁷

- უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობის თაობაზე;
- მოპასუხე მოსარჩელეს უფლებაში უნდა ეცილებოდეს;
- დავა მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის უნდა ქმნიდეს უფლების მომავალში დარღვევის რეალურ საშიშროებას;
- აღიარებითი სარჩელის გადაწყვეტა დავის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს,
- სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას სარგებელი უნდა მოჰქონდეს მოსარჩელისათვის;
- აღიარებითი სარჩელის აღძვრა დაუშვებელია იმ შემთხვევაში თუ შესაძლებელია აღიარას სარჩელი ვალდებულების შესრულების თაობაზე.

ამრიგად, აღიარებითი სარჩელი აღიძვრება მხოლოდ მაშინ, როცა მიკუთვნებითი სარჩელის გამოყენება არ არის შესაძლებელი. შესაბამისა, თუ მოსარჩელეს

²⁷ იხ. ბოულინგი ჰ. პეტერ ლუტრინგჰაუსი, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნების სისტემური ანალიზი, ბრემენი-თბილისი, 2004-2009, 9-11.

მიკუთვნებითი სარჩელით სარგებლობა შეუძლია, დაუშვებელია აღიარებითი სარჩელის გამოყენება.

განსახილველ თემასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად, საქართველოს სასამართლოებში საქმისწარმოება დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებით ხორციელდება, შესაბამისად, „სასამართლო მხარეთა აქტიურობას ეყრდნობა, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლო მხოლოდ მხარეების მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებების იხილავს და გამოაქვს დასაბუთებული გადაწყვეტილება, რომელიც პროცესის სამართლიან დასრულებას ემსახურება.“²⁸

აღნიშნულიდან გამომდინარე, მტკიცების ტვირთის რეალიზებაზეა დამოკიდებული მხარეთა შორის წარმოშობილ დავაზე სასამართლო რა გადაწყვეტილებას მიიღებს.²⁹

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად მოსარჩელემ სარჩელში უნდა მიუთითოს ყველა იმ გარემოებაზე, რომლებიც სასარჩელო მოთხოვნას ადასტურებს.³⁰

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება³¹, რომელშიც სასამართლომ კერძო საჩივარი არ დააკმაყოფილა და ძალაში დატოვა განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ. აღნიშნულის საფუძველად სასამართლომ სარჩელის გაუმართაობა დაასახელა, უფრო ძუსტად კი აღნიშნა, რომ არც დავის არსის მოკლე მიმოხილვის

²⁸ იხ. ჭანტურია ლ, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ, 2011, 26, 27.

²⁹ იხ. ი. გაგუა, „მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში“, თბილისი, 2013 წელი, 79.

³⁰ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=140>

³¹ იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 27 ნომბრის განჩინება საქმეზე საქმე №28/6731-14

გრაფაში და არც დავის ფაქტობრივ გარემოებებში არ იყო მითითებული ფაქტების ერთობლიობა, რომლებიც სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობას ქმნის. ამასთანავე, სასამართლომ მიუთითა რომ სარჩელში სავალდებულოდ მისათითებელი ფაქტობრივი გარემოებების მიუთითებლობა, მოსაჩლეს წაართმევდა საშუალებას, რომ თავისი პოზიცია გამართულად ჩამოეყალიბებინა და შესაბამისად მისთვის სასურველი შედეგი დამდგარიყო. ამასთანავე, თუ მოსამართლე მიიღებდა წარმოებაში სარჩელს, რომელშიც სრულყოფილად არ იქნებოდა სასაჩლო მოთხოვნა ჩამოყალიბებული, მოსარჩელეს წაერთმეოდა უფლება შემდეგში იგივე საქმეზე, იგივე მოპასუხესთან უფრო გამართული სასარჩლო მოთხოვნის ფარგლებში ედავა. შესაბამისად, მოსარჩელეს სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის გზით მიეცა საშუალება, რომ სარჩელი კანონის მოთხოვნების შესაბამისად მოამზადოს, ეს კი აძლევს უფრო მეტ საშუალებას, რომ მისთვის სასარგებლო გადაწყვეტილება იქნეს გამოტანილი. მავე საქმეზე სააპელაციო სასამართლომ მხარის ვალდებულებაზე მიუთითა და აღნიშნა, რომ თუ იგი ხელახლა აღძვრის სარჩელს, სასარჩლო მოთხოვნა უნდა ჩამოაყალიბოს ყველა იმ ფაქტობრივი გარემოების შესაბამისად, რომელიც დავასთან მიმართებით მტკიცების საგანში შედის.

რაც შეეხება მტკიცების საგანის, იგი განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა. მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების მნიშვნელობას სასამართლო განსაზღვრავს. მტკიცების საგანში ყველა ის ფაქტი, რომლებიც მნიშვნელოვანია საქმის გადაწყვეტისათვის არ მოიაზრება, მასში მოიაზრება მხოლოდ ის ფაქტები, რომლებზედაც თავად საქმეში მონაწილე მხარეები მიუთითებენ. ეს შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარეობს, რომლის მიხედვითაც მხოლოდ მხარეებს აქვთ უფლება განსაზღვრონ, რომელი ფაქტობრივი გარემოებები დაედოს მათ მოთხოვნებს და შესაგებელს საფუძვლად. ასევე

რომელი მტკიცებულებებით უნდა დადასტურდეს მათ მიერ მითითებული სადავოდ ქცეული ფაქტობრივი გარემოებები.³²

სასამართლოში ნებისმიერ საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანა გარკვეული ფაქტების დადგენას უკავშირდება. ფაქტების დადგენა ხდება მხარეთა შორის წარმოშობილი დავის განხილვითა და გადაწყვეტილების მიღებით. სამოქალაქო საქმეზე სასამართლო ადგენს იმ გარემოებების არსებობას ან არარსებობას, რომლებიც ასაბუთებს ან უარყოფს მხარეთა მოთხოვნებს. სასამართლო ვერ გადაწყვეტს საქმეს, თუ მან არ დაადგინა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები. გარდა ამისა მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ მთავარი გადაწყვეტილების გამოტანა არ არის, მთავარია კონკრეტული სასამართლო დავის სამართლიანად გადაწყვეტა.³³

მტკიცება პროცესში მონაწილე მხარეების და სასამართლოს ისეთი საქმიანობაა, რომელიც მიმართულია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად.

- მტკიცება, როგორც საქმის გარემოებების დადგენის საპროცესო მოქმედება.

პირველ რიგში უნდა ჩამოვყალიბდეთ, რომ სასამართლო პროცესულურ შემეცნებაში ყოველთვის არ არის შესაძლებელი აბსოლიტური ჭეშმარიტების დადგენა. მაგრამ აუცილებელია, ვარაუდის იმგვარი ხარისხი, რომელიც გაფანტავს ეჭვებს და შესაბამისად ნათელს მოჰფენს განსახილველ საქმეს. თუმცა, არ შეიძლება რომ მხოლოდ ვარაუდი დაედოს საფუძვლად სასამართლოს გადაწყვეტილებას. მაგრამ აღსანიშნავია, რომ საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოება შეიძლება საფუძვლად დაედოს სასამართლო

³² იხ. გაგუა ი., მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, თბილისი, 2013, 63.

³³ თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში - პრაქტიკული სახელმძღვანელო, მე-2 გამოცემა. თბილისი 2001 წ.27

გადაწყვეტილებას მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსამართლე დარწმუნდება ამ ფაქტობრივი გარემოების ნამდვილობაში. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მოსამართლე ინდივიდუალურად აფასებს წარდგენილ ფაქტობრივ გარემოებებს. სწორედ ობიექტური გარემოებები წარმართავს მოსამართლის შინაგანი რწმენის ჩამოყალიბებას.³⁴

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალში მტკიცება წარმოგვიდგება არა როგორც საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის საშუალება, არამედ როგორც განსახილველი საქმის გარემოებების დადგენის საპროცესო მოქმედება.

- მტკიცებულებათა შეფასების რაობა.

მტკიცებულებათა შეფასება მოსამართლის აზროვნების პროცესს მოიცავს და ემორჩილება წესებს, რომლებიც სამართლებრივი რეგულირების საგანი არ შეიძლება გახდეს ანუ აქ საუბარია მოსამართლის შინაგან რწმენაზე.

სასამართლო მტკიცება არსებული სინამდვილის შემეცნების პროცესია და მიუხედავად იმისა, რომ ამ პროცესის სხვადასხვა მონაწილე სხვადასხვა ფუნქციას ასრულებს, ყველა მათგანის საქმიანობა მიმართულია ერთი მიზნისაკენ – გაირკვეს და დადგინდეს განსახილველი სამოქალაქო საქმის ფაქტობრივი გარემოებები.³⁵

საქმის არსებითად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად:

1. გარემოებები, რომლებიც სასამართლოს მიერ საქმის განხილვა-გადაწყვეტისას განაგრძობენ არსებობას .

³⁴ Hans-Joachim Musielak. Grundkurs ZPO, 2 Auf, 1993, 252.

³⁵ გაგუა ი.; მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში. გამომცემლობა მერიდიანი. 2013, 27

2. გარემოებები, რომლებსაც მოხდნენ წარსულში და შეუძლებელია მათი დადგენა უშუალო შემეცნების გზით. ასეთი ფაქტები შეიძლება დადგინდეს მხოლოდ გაშუალებული გზით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს ზემოთ აღნიშნულ ორივე სახის გარემოებათა დადგენის წესს. კერძოდ, სსკ-ის 159-ე მუხლი ითვალისწინებს ნივთიერ მტკიცებულებათა ადგილზე დათვალიერებას.³⁶

სამართალწარმოებაში მტკიცების პროცესი, როგორც გაშუალებული შემეცნება ასევე რეგულირდება კანონით. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლით დადგენილი მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგადი რეგულაციით, რომლის დანაწესით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.³⁷

განვიხილოთ საქმე, რომელზეც შრომითსამართლებრივ დავაში მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების წესთან დაკავშირებით საკასაციო პალატამ განმარტა შემდეგი:

სამართალწარმოებაში მოქმედებს მტკიცების ტვირთის განაწილების ორი ძირითადი წესი: ზოგადი წესი, რომელიც სსსკ-ის 102-ე მუხლის თანახმად ეკისრება თითოეულ მხარეს, და სპეციალური წესი, რომელსაც თავად გამოსაყენებელი მატერიალური ნორმა აწესებს. ნიშანდობლივია, რომ შრომითსამართლებრივი დავები მტკიცების ტვირთის განაწილების გარკვეული თავისებურებით ხასიათდება, რასაც მტკიცებულებების წარმოდგენის თვალსაზრისით, დამსაქმებლისა და დასაქმებულის არათანაბარი შესაძლებლობები განაპირობებს და ამდენად, უნდა ვიხელმძღვანელოთ მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციალური სტანდარტით, რომლის

³⁶ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 159-ე მუხლი

³⁷ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლი

თანახმად, სწორედ დამსაქმებელია ვალდებული ადასტუროს დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერი და საკმარისი საფუძვლის არსებობა. ამგვარი სტანდარტის გამოყენების ნორმატიულ საფუძველს ქმნის ის, რომ დამსაქმებელს გააჩნია მტკიცებითი უპირატესობა, სასამართლოს წარუდგინოს მისთვის ხელსაყრელი მტკიცებულებები იმასთან დაკავშირებით, რომ მისმა თანამშრომელმა არაჯეროვნად შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობები (სშკ-ის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შემადგენლობა), ან რომ მას არ გააჩნია საკმარისი კვალიფიკაცია ან არ ფლობს შესაბამის უნარ-ჩვევებს, რაც კონკრეტულ ქმედებებში გამოიხატა (სსკ-ის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შემადგენლობა), ვიდრე დასაქმებული, რომელიც ობიექტურად ვერ შეძლებს მტკიცებულებების წარდგენას. მით უფრო, რომ ამა თუ იმ საქმიანობისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ფლობის საკითხი შეფასებით კატეგორიას განეკუთვნება.³⁸

ასევე საინტერესოა შემდეგი საქმე, სადაც სასამართლომ არასწორად გაანაწილა მხარეებს შორის მტკიცების ტვირთი. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი იყო სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესი „თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.“, რაც ნიშნავს იმას, რომ მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც მოთხოვნის წარმოშობას განაპირობებს, ხოლო მოპასუხემ მოთხოვნის გამომრიცხავი, შემწყვეტი ან მისი განხორციელების ხელისშემშლელი გარემოებები. ქირავნობის ხელშეკრულების 2.6. პუნქტის თანახმად, პირველი მოპასუხე იყო ვალდებული დაემონტაჟებია ქირავნობის ადგილზე წყლის, გაზისა და დენის მრიცხველები, რითაც დამოუკიდებლად აღირიცხებოდა პირველი მოპასუხის მიერ მოხმარებული წყლის, გაზისა და ელექტროენერჯის რაოდენობა (მოცულობა.) მოსარჩელე,

³⁸ საქმე Nას-483-457-2015, 07 ოქტომბერი, 2015 წელი

ექსპერტის დასკვნაზე დაყრდნობით ამტკიცებდა, რომ მის ტერიტორიაზე არსებული ელექტროგამანაწილებელი ჯიხურიდან მარაგდებოდა როგორც გაქირავებული მაცივარი და საწყობი, ისე მეორე მოპასუხის კუთვნილი 25 ტონიანი „მაერსკის“ მაცივარ-კონტეინერიც. ელ.ჯიხურის შესასვლელში კი, დამონტაჟებული იყო ორი ცალი „აქტიური ელექტროენერჯის მრიცხველი“, რომელთაგან ერთი #648082 განკუთვნილი იყო ორივე მაცივრის მიერ მოხმარებული ელ.ენერჯის აღსადრიცხვად. რადგანაც მოპასუხეები სარჩელისგან თავს იცავდნენ იმ გარემოებაზე მითითებით, რომ მოხმარებული ელ.ენერჯის ღირებულება სრულად გადახდილი ჰქონდათ, სწორედ მათ ვალდებულებას წარმოადგენდა წარედგინათ სასამართლოსათვის ამის დამადასტურებელი მტკიცებულებები; კერძოდ: რა რაოდენობის (მოცულობის) ელექტროენერჯია მოიხმარეს სადავო პერიოდის განმავლობაში და გადაუხადეს თუ არა მისი ღირებულება მოსარჩელეს, რომლისგანაც, მათივე განმარტებით, ისინი „ყიდულობდნენ“ ელ.ენერჯიას . გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ არ დაადგინა თუ რა სახის ურთიერთობა ედო საფუძვლად 2004 წლიდან 2014 წლის 24 ივნისამდე მეორე მოპასუხის კუთვნილი 25 ტონიანი „მაერსკის“ მაცივარ-კონტეინერის განთავსებას მოსარჩელის კუთვნილ ტერიტორიაზე. მხარეთა შორის მიზარების სახელშეკრულებო ურთიერთობის არ არსებობის დადგენა არ იყო საკმარისი სასარჩელო მოთხოვნის უარსაყოფად. დავის იურიდიულ კვალიფიკაციას (სამართლებრივ შეფასებას) სასამართლო დამოუკიდებლად ახდენს, რა დროსაც იგი არ არის შეზღუდული დისპოზიციურობის ან შეჯიბრებითობის პრინციპებით [სსსკ-ის მე-3 და მე-4 მუხლები). სასამართლო ვალდებულია, შეამოწმოს მოთხოვნის ყველა საფუძველი, ანუ მან უნდა დაადგინოს ის ნორმა/ნორმები, რომლებიც შეიცავენ იმ სამართლებრივ შედეგს, რომლის მიღწევაც სურს მოსარჩელეს. სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მაცივარ-კონტეინერის მოსარჩელის ტერიტორიაზე განთავსების დადგენის

შემთხვევაში, მოსარჩელის მოთხოვნა კანონიდან გამომდინარე შეიძლება იყოს ყოფილიყო, და სასამართლოს უნდა ემსჯელა ხომ არ იყო განხორციელებული სსკ-ის 982-ე მუხლის პირველი ნაწილით [ხელყოფის კონდიქცია: პირი, რომელიც ხელყოფს მეორე პირის სამართლებრივ სიკეთეს მისი თანხმობის გარეშე განკარგვის, დახარჯვის, სარგებლობის, შეერთების, შერევის, გადამუშავების ან სხვა საშუალებით, მოვალეა აუნაზღაუროს უფლებამოსილ პირს ამით მიყენებული ზიანი.„] გათვალისწინებული შედეგის განმაპირობებელი სამართლებრივი წინაპირობები. სააკველაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას სწორად უნდა გაანაწილოს მტკიცების ტვირთი მხარეთა შორის [სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი], სრულყოფილად და ობიექტურად განიხილოს საქმე და ისე მიიღოს გადაწყვეტილება. თუ დაადგენს, რომ მოსარჩელემ მოპასუხეების ნაცვლად გადაიხადა მათ მიერ მოხმარებული ელ.ენერჯის საფასური, მაშინ მან უნდა იქონიოს მსჯელობა, ხომ არ სცილდება ეს სახელშეკრულებო მოთხოვნის ფარგლებს; შესაბამისად, ხომ არ მოჰყვა ამას მოპასუხეების უსაფუძვლო გამდიდრება და ხომ არ არსებობს სსკ-ის 986-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობა.³⁹

სხვა გადაწყვეტილებაში კი აღნიშნულია, რომ: „მტკიცების ტვირთი - ესაა სამოქალაქო სამართალწარმოებაში საქმის სწორედ გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების მოვალეობის დაკისრება მხარეებზე, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანით იმ მხარის მიმართ, რომელმაც ეს მოვალეობა არ (ვერ) შეასრულა [სსსკ-ის მე-3, მე-4 და 102-ე მუხლები]. მხარეთა მტკიცებითი საქმიანობის საბოლოო მიზანი - ესაა სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობაში. სასამართლოს დაურწმუნებლობა კი,

³⁹ საქმე #ას-641-607-2015, 25.09.2015

მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს. მტკიცების ტვირთი დამოკიდებულია არა მხარის როლზე პროცესში, არამედ მოთხოვნის საფუძველზე. ის ვინც ითხოვს ვალდებულების შესრულებას, უნდა დაამტკიცოს მოთხოვნის საფუძვლის არსებობა არა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ითხოვს თავისი მოთხოვნის შესრულებას, ან აღიარებას, არამედ მაშინაც, როდესაც იგი თავს იცავს მოწინააღმდეგე მხარის ნეგატიური აღიარებითი სარჩელისაგან (მოთხოვნისაგან).⁴⁰

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე გასაგებია, რომ სასამართლო მტკიცება ისეთი საპროცესო მოქმედებაა, რომელიც მტკიცებულებათა შეგროვებას, შემოწმებასა და შეფასებას მოიცავს ერთდროულად. პროცესში მონაწილე პირების მოქმედება კი მოწესრიგებულია საპროცესო კოდექსით.

2.2 სასამართლოს როლი სარჩელის შემოწმებისას

სასამართლო პრაქტიკას სამართლებრივი კულტურის ჩამოყალიბებაში ძალიან დიდი როლი ეკისრება, განსაკუთრებულია ეს როლი საპროცესო ინსტიტუტებთან მიმართებაში.

პროცესუალურ სამართალში არსებული პრობლემური საკითხების გადაწყვეტა და შემდეგში ხარვეზების აღმოფხვრა სასამართლოს განმარტებების შედეგად ხორციელდება. სწორედ ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია სასამართლოს როლზე საუბარი სარჩელის შემოწმებასთან დაკავშირებით.

⁴⁰ საქმე №ას-1610-2019 , სამოქალაქო საქმეთა პალატა , 7 თებერვალი, 2020 წელი. ქ. თბილისი.

საკითხის უკეთ გააზრების მიზნით მნიშვნელოვანია, რომ აღიარებითი სარჩელის შინაარსობრივი შემოწმების საკითხები განხილულ იქნეს სასამართლო გადაწყვეტილებების ჭრილში. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, სადაც აღნიშნულია, რომ: „მოსარჩელემ აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილებით, კონკრეტული უფლება უნდა განახორციელოს, განხორციელება აუცილებლად უნდა იყოს დაკავშირებული აღიარებითი სარჩელით მოთხოვნილი უფლების აღიარებასთან; ამასთანავე უნდა გაირკვეს, მოსარჩელის სამართლებრივი მდგომარეობა რამდენად გაუმჯობესდება მისი აღიარებითი მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში“.⁴¹

„სასამართლოში მოთხოვნის წარდგენისას იურიდიული ინტერესის არსებობის აუცილებლობას ითვალისწინებს სსსკ-ის 180-ე მუხლი, რომელიც ადგენს აღიარებითი სარჩელის იურიდიული ინტერესის განმსაზღვრელ კრიტერიუმებს, კერძოდ:

- ა) მოსარჩელეს უნდა ედავებოდნენ უფლებაში;
- ბ) დავის არსებობა უნდა ქმნიდეს მოსარჩელის უფლების მომავალში დარღვევის რეალურ საშიშროებას;
- გ) აღიარებითი სარჩელის გადაწყვეტა დავის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს, კერძოდ, გადაწყვეტილების შედეგად სრულად გარკვეული შედეგი უნდა დგებოდეს მხარისათვის, აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილება უნდა ქმნიდეს იმ უფლებისა თუ ურთიერთობის განსაზღვრულობას, რაც მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარმოშობილი დავის გამო ირღვევა.

⁴¹„საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო საქმეებზე“ (2014 წლის II ნახევარი _ 2015 წელი), საქართველოს უზენაესი სასამართლო ეროვნული სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების განყოფილება, თბილისი, 2017, გვ. 156.

ამდენად, აღიარებითი სარჩელის შემთხვევაში, იურიდიული ინტერესის არსებობა განპირობებულია არა ზოგადად მხარის ინტერესით, არამედ მატერიალურ-სამართლებრივი დანაწესით, რომლის შედეგის რეალიზაცია შესაძლებელია აღიარებითი სარჩელის აღძვრით.⁴²

სარჩელის დასაშვებობასთან დაკავშირებით საინტერესოა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 03 ივლისის განჩინება.

„სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა,⁴³ რომ მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ აღძრული აღიარებითი სარჩელი არ იყო დასაშვები, რადგანაც ის არ პასუხობდა სსსკ-ის 178-ე მუხლის მოთხოვნებს. ამ ნორმის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელში უნდა ყოფილიყო აღინიშნული სსსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებული იურიდიული ინტერესი. ამიტომ, სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სსსკ-ის 372-ე მუხლით და 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რომლის თანახმადაც, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლის განჩინება ჩაბარდება მოსარჩელეს, რომელსაც იმავდროულად უბრუნდება მის მიერ შეტანილი დოკუმენტები. თუ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი გამოვლინდება ამ სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, მაშინ იმის მიხედვით, თუ როგორია ეს საფუძველი, სასამართლო შეწყვეტს საქმისწარმოებას ან სარჩელს განუხილველად დატოვებს (ამ კოდექსის 272-ე და 275-ე მუხლები). მთავარი სხდომის დანიშვნამდე სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში, მოსარჩელეს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70 პროცენტი, ხოლო საქმის მთავარ სხდომაზე განხილვისას სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში, სახელმწიფო ბაჟი მოსარჩელეს არ დაუბრუნდება. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოხმობილი ნორმა მითითებითი ხასიათისაა და მასში ამავე კოდექსის 275-ე მუხლის წინაპირობების

⁴² საქმე №ა-5646-შ-168-2019, სამოქალაქო საქმეთა პალატა. 27 დეკემბერი, 2019 წელი. ქ. თბილისი.

⁴³ საქმე №ას-1525-2019, სამოქალაქო საქმეთა პალატა, 16 დეკემბერი, 2019 წელი. ქ. თბილისი.

შემოწმებაზეა საუბარი, თუმცა, ეს უკანასკნელი ნორმაც არ შეიცავს სარჩელის განუხილველად დატოვების ამომწურავ ჩამონათვალს, რის გამოც, დასაშვებია საპროცესო ანალოგიის პრინციპის გამოყენება (სსსკ-ის მე-7 მუხლი) იმ შემთხვევისათვის, როდესაც იკვეთება სარჩელის მიღებაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.⁴⁴

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ აღიარებითი სარჩელი განუხილველად უნდა დარჩენილიყო, იურიდიული ინტერესის არარსებობის გამო.

როგორც ვხედავთ, მიკუთვნებითი სარჩელებისგან განსხვავებით, აღიარებითი სარჩელის დავის საგანია თვით მატერიალურსამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც სუბსიდიურია და იურიდიული ინტერესის არსებობა გამორიცხულია, თუ შესაძლებელია მოპასუხის მიმართ მიკუთვნებითი მოთხოვნის წარდგენა.⁴⁵

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 128-ე მუხლში აღნიშნულია, რომ მოსამართლემ, საჭიროების შემთხვევაში უნდა გამოიყენოს კანონით მინიჭებული შეკითხვის დასმის უფლება. კანონი ასევე განსაზღვრავს იმ საკითხებს რისი გარკვევაც მოსამართლეს ევალება. ეს საკითხებია:

- „ მტკიცების საგნის ზუსტად განსაზღვრა - ანუ უნდა გაირკვეს რაზე ამყარებს მოსარჩელე და მოპასუხე თავის მოთხოვნასა და შესაგებელს.
- მტკიცებულებების გამოვლენა, რომლებიც, შესაძლოა არ არის წარდგენილი სასამართლოში, მაგრამ აქვთ მხარეებს. ასევე უნდა გაირკვეს წარმოდგენილი მტკიცებულებების დასაშვებობის საკითხი.

⁴⁴ შდრ: სუსგ Nას-302-285-2017, 16 ივნისი, 2017 წელი; Nას-551-522-2015, 14 აგვისტო, 2015 წელი

⁴⁵ Nას-847-2019 , სამოქალაქო საქმეთა პალატა, 26 დეკემბერი, 2019 წელი,თბილისი

- რომელი მხარეა ვალდებული სასამართლოს წინაშე რომ მტკიცებულება წარადგინოს;
- რამდენად უტყუარია წარდგენილი მტკიცებულებები. „⁴⁶

აღნიშნული ჩამონათვალი სრულყოფილი არ არის, რადგან სასამართლოს შეუძლია დასვას ნებისმიერი შეკითხვა, რომელსაც საქმის სწორედ ადაწყვეტისათვის საჭიროდ მიიჩნევს.

ზემოთ უკვე აღნიშნა, რომ აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის საკითხი სსსკ-ის 180-ე მუხლის საფუძველზე წყდება, შესაბამისად თუ არ არის დაცული მისი მოთხოვნები, სარჩელი უნდა დარჩეს განუხილველი. მიუხედავად ამისა, არის შემთხვევები, როდესაც სარჩელის დაუშვებლობის საფუძველები ზემოდგომ ინსტანციებში წარმოჩინდება. ამ საფუძველით კი შესაძლებელია საქლელი განუხილველი დარჩეს ზემდგომ სასამართლოს ინსტანციაშიც. ⁴⁷

ასევე, აღსანიშნავია საქმე, სადაც სააპელაციო სასამართლომ ყველა ფაქტობრივი გარემოება დაადგინა, მაგრამ შეუმოწმებელი დარჩა სარჩელის დასაბუთება. ამ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს გარდა ფაქტობრივი გარემოებების დადგენისა, აუცილებლად უნდა შეემოწმებინა, მიკუთვნებითი მოთხოვნის დაყენების შესაძლებლობა.⁴⁸ აღსანიშნავია, რომ პრაქტიკაში არის შემთხვევები,, როდესაც რეალურად დაუშვებელი სარჩელი იხილება, როგორც პირველი ინსტანციის, ასევე სააპელაციო სასამართლოს მიერაც. ამასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლომ თავის რამდენიმე განჩინებაში განმარტა სსსკ-ის 180-ე

⁴⁶ ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართლის კომენტარი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1992, გვ. 236-237.

⁴⁷ იხ. სუსგ საქმეზე Nას-643-611-2013, 19 ივნისი, 2015 წელი; Nას-437-409-2017; Nას-932-872-2017; Nას196-185-2017; Nას-623-582-2017; Nას-324-307-2017; Nას-747-699-2017.

⁴⁸ სუსგ საქმეზე Nას-1509-1429-2017, Nას-921-2018

მუხლი, როგორც აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის ძირითადი წინაპირობა.

49

როგორც უზენაესი სასამართლოს ანგარი/შიდან ირკვევა, პრაქტიკაში არსებობს არაერთი შემთხვევა, როდესაც საკასაციო სასამართლო საქმეს ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოებს შესაბამისი მითითებებით უბრუნებს.⁵⁰

ერთ-ერთ საქმეზე კი პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელის წარმოებაში არ მიღების მოტივად მიუთითა შემდეგზე: „სასამართლომ განმარტა, რომ აღიარებითი სარჩელი დაუშვებელი იყო, თუ შესაძლებელი იყო აღძრულიყო მიკუთვნებითი სარჩელი. აღიარებითი სარჩელი აღიძრებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც მიკუთვნებითი სარჩელის გამოყენება არ იყო შესაძლებელი.

აღნიშნულის გათვალისწინებით მოსარჩელე ვალდებული იყო დაესაბუთებინა, რომ მოცემულ შემთხვევაში მიკუთვნებითი სარჩელის გამოყენება არ იყო შესაძლებელი. მიკუთვნებითი სარჩელი თავისი შინაარსით წარმოადგენდა ისეთ სარჩელს, რომლითაც მოსარჩელე მოითხოვდა მოპასუხისაგან რაიმეს მიკუთვნებას, რაიმე მოქმედების შესრულებას ან ამ მოქმედებისაგან თავის შეკავებას. განსხვავებით მიკუთვნებითი (აღსრულებითი) სარჩელებისა, რომლებიც მიმართული იყო დარღვეული უფლების დაცვისაკენ, აღიარებითი სარჩელების დროს მოსარჩელის უფლება ჯერ კიდევ არ იყო დარღვეული, მაგრამ არსებობდა მისი მომავალში დარღვევის საშიშროება, რადგან ვიღაცა ედავება მას ამ უფლების დარღვევაში. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მოსარჩელის განმარტებაზე, სადაც მიუთითებდა მოპასუხის განცხადებაზე, რომლითაც იგი ამბობდა, რომ სადავო მიღები მისი იყო, აპირებდა მიწიდან ამოღებას და წაღებას,

⁴⁹ სუსგ საქმეზე Nას-597-597-2018; Nას-949-885-2017; Nას1248-1168-2017; Nას-320-303-2017; Nას-1151-1071-2017; Nას-1357-1277-2017; Nას1393-1313-2017; Nას-50-50-2018.

⁵⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის ანგარიში, 9

აღნიშნულით მოსარჩელეს ხელი შეეშლებოდა სარჩევით სარგებლობაში. აქედან გამომდინარე სასამართლოს მოსაზრებით ვლინდებოდა, რომ მოსარჩელის საკუთრების უფლება უკვე დარღვეული იყო და მხარეებს შორის მიმდინარეობდა უბრალო დავა საკუთრების თაობაზე, რომელიც ასევე დაკავშირებული იყო სამეზობლო ურთიერთობასთან. აღნიშნული დავა შეიძლებოდა გადაწყვეტილიყო მიკუთვნებითი (აღსრულებითი) სარჩელით, მაგალითად საკუთრების დაბრუნება, საკუთრებით სარგებლობის ხელშეშლის აღკვეთა ან/და აუცილებელი გზის, ან სერვიტუტის (უზუფრუქტის) მოთხოვნა.⁵¹

ერთ-ერთ საქმეზე, კი პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელის წარმოებაში არ მიღების მოტივად მიუთითა შემდეგზე: „აღიარებითი სარჩელი დაუშვებელი იყო, თუ შესაძლებელი იყო აღძრულიყო მიკუთვნებითი (აღსრულებითი) სარჩელი. აღიარებითი სარჩელი აღიძრებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც მიკუთვნებითი სარჩელის გამოყენება არ იყო შესაძლებელი. აღნიშნულის გათვალისწინებით მოსარჩელე ვალდებული იყო დაესაბუთებინა, რომ მოცემულ შემთხვევაში მიკუთვნებითი სარჩელის გამოყენება არ იყო შესაძლებელი. მიკუთვნებითი სარჩელი თავისი შინაარსით წარმოადგენდა ისეთ სარჩელს, რომლითაც მოსარჩელე მოითხოვდა მოპასუხისაგან რაიმეს მიკუთვნებას, რაიმე მოქმედების შესრულებას ან ამ მოქმედებისაგან თავის შეკავებას. განსხვავებით მიკუთვნებითი (აღსრულებითი) სარჩელებისა, რომლებიც მიმართული იყო დარღვეული უფლების დაცვისაკენ, აღიარებითი სარჩელების დროს მოსარჩელის უფლება ჯერ კიდევ არ იყო დარღვეული, მაგრამ არსებობდა მისი მომავალში დარღვევის საშიშროება, რადგან ვიღაცა ედავება მას ამ უფლების დარღვევაში.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მოსარჩელის განმარტებაზე, სადაც მიუთითებდა მოპასუხის განცხადებაზე, რომლითაც იგი ამბობდა, რომ სადავო

⁵¹ საქმე №2ბ/3700-12 08 ოქტომბერი, 2012 წელი, თბილისი

მიღები მისი იყო, აპირებდა მიწიდან ამოღებას და წაღებას, აღნიშნულით მოსარჩელეს ხელი შეეშლებოდა სარწყავით სარგებლობაში. აქედან გამომდინარე სასამართლოს მოსაზრებით ვლინდებოდა, რომ მოსარჩელის საკუთრების უფლება უკვე დარღვეული იყო და მხარეებს შორის მიმდინარეობდა უბრალო დავა საკუთრების თაობაზე, რომელიც ასევე დაკავშირებული იყო სამეზობლო ურთიერთობასთან. აღნიშნული დავა შეიძლებოდა გადაწყვეტილიყო მიკუთვნებითი (აღსრულებითი) სარჩელით, მაგალითად საკუთრების დაბრუნება, საკუთრებით სარგებლობის ხელშეშლის აღკვეთა ან/და აუცილებელი გზის, ან სერვიტუტის (უზუფრუქტის) მოთხოვნა.⁵² აღსანიშნავია, რომ აღნიშნული გადაწყვეილება გაასაჩივრა მხარემ. საჩივარი სააპელაციო სასამართლოს მიერ დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ: „პირველი ინსტანციის სასამართლომ წარმოებაში უარის თქმის მოტივად მოიყვანა დასაბუთება მასზედ, რომ სარჩელი იყო აღიარებითი ხასიათის, მაშინ როცა უნდა წარმოდგენილიყო მიკუთვნებითი ხასიათის სარჩელი. პირველი ინსტანციის სასამართლოს ეს დასაბუთება უსაფუძვლოა, ვინაიდან მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნა იყო „მოპასუხის მიწის ნაკვეთის ქვეშ 50 მ. მანძილზე გამავალი 325 მილიმეტრიანი მეორადი მოხმარების ლითონის სარწყავ მილებზე აღიარებული ყოფილიყო ხ. კ.-ს საკუთრების უფლება“. მოთხოვნა ნივთზე საკუთრების უფლების აღირების შესახებ სხვა არაფერია თუ არა მიკუთვნებითი მოთხოვნა, ანუ მოსარჩელე ითხოვს საკუთრებაში გადაეცეს ლითონის სარწყავი მილი. ამდენად, წარმოდგენილი სარჩელი თავისი არსით მიკუთვნებითი ხასიათისა.“ აღნიშნული გადაწყვეტილებები ნათლად მიუთითებს, საკითხის შესწავლის აქტუალობაზე, რადგან პრაქტიკაში მიკუთვნებითი და აღიარებითი სარჩელის გამიჯვნა, საკმაოდ პრობლემური საკითხია.

⁵² საქმე №28/3700-12

2.3 საქმის მომზადების ეტაპის მნიშვნელობა სარჩელის იურიდიული შედეგის განსაზღვრისთვის

სამოქალაქო საქმის აღძვრის პირველ ეტაპზე მოსამართლისა და მხარეების მიერ შესასრულებელი ქმედების სისწორეზე დიდ წილად დამოკიდებულია საქმის საბოლოო შედეგი. როგორც პროფესორი შ. ქურდაძე აღნიშნავს „დარღვეული უფლება საქმის აღძვრაზე დაუსაბუთებელი უარის გამო ან დაუცველი აღმოჩნდება ან მოსამართლის არასწორი მოქმედების გამო შეიძლება პროცესი არამართლზომიერად დაიწყოს“.⁵³

ამასთანავე მნიშვნელოვანია მხარეთა ნება, რადგან სამოქალაქო საპროცესო სამართალი ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მხარის აქტიურობას, ინიციატივას, რადგან, როგორც ზემოთ უკვე აღნიშნა სასამართლო გადაწყვეტილება მხოლოდ მხარეების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების შესაბამისად მიიღება.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა შემდეგი დავა: ⁵⁴ საკასაციო სასამართლომ საქმე ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოს დაუბრუნა, რადგან საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ სააპელაციო სასამართლომ არ შეამოწმა სარჩელის დასაბუთებულობა, მაშინ როდესაც, საქმის არსებითი გადაწყვეტისათვის, მოსარჩელის სურვილის შემოწმებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სასამართლოს

⁵³ქურდაძე შ., სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში, თბილისი, 2006 წ., 559.

⁵⁴ იხ. სუსგ საქმეზე Nას-595-554-2017

შეკითხვების მეშვეობით მოსარჩელისათვის სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების შესაძლებლობა უნდა მიეცა.⁵⁵

როგორც აღიარებითი, ასევე მიკუთვნებითი სარჩელის იურიდიული შედეგის განსაზღვრისათვის საქმის მომზადების ეტაპის ეფექტური გამოყენება არსებითი მნიშვნელობისაა. რადგან სწორედ ამ ეტაპზე უნდა გამოირიცხოს ფორმალური თუ შინაარსობრივი თვალსაზრისით სარჩელის საფუძვლიანობა. ამისათვის კი მოსამართლემ საქმის ამავე ეტაპზე უნდა დააზუსტოს საქმის გადაწყვეტისათვის არსებითი გარემოებები, რომლებზეც მოსარჩელე და მოპასუხე ამყარებენ თავიანთ მოთხოვნებსა და შესაგებელს.⁵⁶

სარჩელის იურიდიული შედეგის განსაზღვრა, როგორც აღნიშნა მხარეთა საპროცესო-სამართლებრივ აქტიურობაზეა დამოკიდებული. რადგან შეიძლება სასამართლომ ფორმალური თვალსაზრისით დასაბუთებული აღიარებითი სარჩელი მიიღოს წარმოებაში, შემდეგში, მხარის კვალიფიციური შედავების შედეგად კი აღმოჩნდეს, რომ სარჩელის დაკმაყოფილებისათვის არანაირი წინაპირობა არ არსებობს.⁵⁷ აქ საუბარია, ისეთ შემთხვევაზე, როდესაც არ იკვეთება უფლების სადავოობა, რომლის დაცვა ან აღდგენაც მხარის მიზნს წარმოადგენს.

როგორც წესი, აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის სსსკ-ის 180-ე მუხლის კრიტერიუმების არარსებობისას სარჩელი საწყის ეტაპზევე უნდა დარჩეს განუხილველი, თუმცა, აღნიშნული დაუშვებლობის საფუძვლები შესაძლოა ზემოდგომ ინსტანციებშიც წარმოჩინდეს. სასამართლო პრაქტიკიდან მაგალითები

⁵⁵ სსსკის 83- ე მუხლის მეოთხე ნაწილი.

⁵⁶ იხ. ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი“ (მეორე დამუშავებული და შესწორებული გამოცემა), თბილისი, 2007 წ. 358.

⁵⁷ იხ. იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 5 სექტემბრის განჩინება საქმეზე №28/4875-14.

უჩვენებს, ომ სარჩელი განუხილველი რჩება სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებშიც.⁵⁸

ერთ-ერთ საქმეზე სააპელაციო სასამართლომ დაადგინა საქმის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანი ყველა ფაქტობრივი გარემოება, თუმცა მოსარჩელის მოთხოვნიდან გამომდინარე, არ შეამოწმა სარჩელის გამართულობა (დასაბუთებულობა). სააპელაციო სასამართლოს უნდა შეემოწმებინა, რამდენად იყო შესაძლებელი მიკუთვნებითი მოთხოვნის დაყენება ანუ – არა არსებული ფაქტობრივი გარემოებების ან ახალი მტკიცებულებების წარდგენის/მითითების გზით, არამედ უკვე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, რათა მოსარჩელემ მიაღწიოს მისთვის სასურველ იურიდიულ შედეგს, რომელიც აღსრულებადი იქნება (სსსკ-ის 180-ე მუხლი).⁸⁴ საპროცესო სამართლის ნორმათა დარღვევაზე მსჯელობისას გამორჩეულად უნდა აღინიშნოს ის აღიარებითი სარჩელები, რომლებიც კანონის თანახმად, არ იყო დასაშვები, თუმცა პირველი და სააპელაციო ინსტანციების სასამართლოების მიერ ამ ტიპის დაუშვებელი სარჩელები არსებითად იქნა განხილული. საკასაციო სასამართლომ არაერთ განჩინებაში განმარტა სსსკ-ის 180-ე მუხლის წინაპირობები და აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის კრიტერიუმები.⁵⁹

აღსანიშნავია, რომ მართლმსაჯულების მდგომარეობის შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის ანგარიში ცხადყოფს, რომ უზენაესი სასამართლო, არსებითად იხილავს რა საკასაციო საჩივრებს, არაერთ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოებს საქმეს ხელახლა განსახილველად შესაბამისი მითითებებით უბრუნებს, რომლის მიხედვითაც, სააპელაციო სასამართლომ

⁵⁸ იხ. სუსგ საქმეზე Nსს-643-611-2013, 19 ოქტომბერი, 2015 წელი; Nსს-437-409-2017; Nსს-932-872-2017; Nსს-196-185-2017; Nსს-623-582-2017; Nსს-324-307-2017; Nსს-747-699-2017.

⁵⁹ იხ. სუსგ საქმეზე Nსს-833-779-2017; Nსს-597-597-2018; Nსს-949-885-2017; Nსს-523-489-2017; Nსს-1248-1168-2017; Nსს-271-271-2018; Nსს-320-303-2017; Nსს-1151-1071-2017; Nსს-1357-1277-2017; Nსს-1393-1313-2017; Nსს-486-454-2017; Nსს-50-50-2018.

სწორად უნდა განსაზღვროს სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, საქმეზე დასადგენ გარემოებათა წრე და მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის სწორად განაწილებით უნდა შეაფასოს სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ყველა ფაქტობრივი წინამძღვარი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკასაციო სასამართლოს არაერთი მითითების მიუხედავად, სააპელაციო სასამართლო ზოგჯერ ერთი და იმავე ხასიათის შეცდომებს უშვებს (მაგალითად, სარჩოს გადაანგარიშებასთან, სამუშაოდან გათავისუფლებასთან, აღიარებით მოთხოვნებთან დაკავშირებულ დავებში და ა.შ.).⁶⁰

⁶⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის ანგარიში, 9.

დასკვნა

მიკუთვნებითი და აღიარებით სარჩელები ქართულ სამოქალაქო სამართალში ძალიან აქტუალურია, როგორც სამეცნიერო წრეებისათვის, ასევე პრაქტიკოსი იურისტებისთვის. თუმცა, ქართულ რეალობაში მიკუთვნებითი სარჩელები, ყველაზე მეტადაა გავრცელებული, სწორედ მას მიმართავენ ყველაზე მეტად ფიზიკური და იურიდიული პირები.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, აღიარებითი სარჩელები ყოველთვის გულისხმობენ მოდავე მხარეების არსებობას, ამიტომ აღიარებით სარჩელს ყოველთვის ჰყავს მოსარჩელე და მოპასუხე. გარდა მოდავე მხარეების არსებობისა, აღიარებით სარჩელს აუცილებლად უნდა გააჩნდეს იურიდიული ინტერესი. შესაძლოა არსებობდეს სარჩელის აღძვრის ყველა წინაპირობა, მაგრამ თუ არ ექნება იურიდიული ინტერესი, მოსარჩელეს აღიარებითი სარჩელის მიღებაზე და განხილვაზე უარი ეთქმება. თუმცა იურიდიული ინტერესის არსებობის საკითხი უნდა დადგინდეს ნებისმიერი სარჩელის განხილვისას, რადგან სარჩელში მითითება, რომ პირს გააჩნია იურიდიული ინტერესი, არ ნიშნავს, რომ ნამდვილად იურიდიული ინტერესია სახეზე.

ქართულ სასამართლო პრაქტიკაში ზემოთ აღნიშნული მოთხოვნა თავდაპირველ ეტაპზე მოსარჩელეთა უფლებების შეზღუდვას იწვევდა, რადგან სასამართლოები სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძვლად უთითებენ, რომ აღიარებითი სარჩელია წარმოდგენილი, რომელშიც იურიდიული ინტერესი არ არის მითითებული. იურიდიული ინტერესის ქონა საჭიროა სხვა ტიპის სარჩელებისთვისაც.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გაგუა ი.; მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში. გალილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართლის კომენტარი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1992,
2. ხრუსტალი ვ., ლილუაშვილი თ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები, თბილისი, 2007,
3. ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართლის კომენტარი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1992.
4. ლილუაშვილი.თ., სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში - პრაქტიკული სახელმძღვანელო, მე-2 გამოცემა. თბილისი 2001.
5. ქურდაძე შ., სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში, თბილისი, 2006 წ
6. ქურდაძე შ., „სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში“, თბილისი, 2016 წ.,
7. ჭანტურია ლ, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ, 2011.
8. ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ.II, გამოცემის მეცნიერული რედაქცია და ბოლოთქმა თ.ნინიძის, თარგმანი ე. სუმბათაშვილის, თბ., 2001, 228.
9. ბოულინგი ჰ. პეტერ ლუტრინგჰაუსი, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნების სისტემური ანალიზი, ბრემენი-თბილისი, 2004-2009, 9-11.
10. ცქიტიშვილი მ., რეზიუმე „სარჩელების კლასიფიკაცია“, თბილისი, 3.

11. პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის, 2010 წ., უზენაესი სასამართლოს გამოცემა.
12. Гурвич М. А. 1981. Учение об иске (состав, виды): Учебное пособие. Москва. Вьюзи;
13. Добровольский А.А.; Иваново С. А. 1979. Основные проблемы исковой формы защиты права, Москва. Изд-во Моск ун-та;
14. Логинов П.В. 1983. Понятие иска и исковой формы защиты права // Сов. ГиП. . № 2.
15. Hans-Joachim Musielak. Grundkurs ZPO, 2 Auf, 1993.

1. „სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი, მიღ. 1999 წლის 16 აპრილს, 2019 წლის 7 თებერვლის მდგომარეობით, მუხლი 32. - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/18442?publication=90>
2. სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 180 - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=140>
3. შდრ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (შემდგომში: სსკ), 2019 წლის 28 ივნისის მდგომარეობით, 310-ე მუხლი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=103>

1. იხ. სუსგ საქმე №ას- 121-117-2016, 17 მარტი, 2016 წელი.

2. სუსგ საქმეზე №ას-302-285-2017, 16 ივნისი, 2017 წელი
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-664- 635-2016, 2 მარტი, 2017 წელი. №ას-869-819-2015, 11 დეკემბერი, 2015წ; №ას-1025-967-2015
4. სუსგ საქმეზე №ას-955-2018, 16 ნოემბერი, 2018 წელი.
5. სუსგ საქმეზე №ას-955-2018, 16 ნოემბერი, 2018 წელი.
6. სუსგ საქმეზე №ას-955-2018, 16 ნოემბერი, 2018 წელი.
7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება საქმეზე N28/4875-14.
8. სუსგ საქმეზე №ას-1219-1139-2017
9. იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 27 ნომბრის განჩინება საქმეზე საქმე №28/6731-14
10. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 159-ე მუხლი
11. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლი
12. საქმე №ას-483-457-2015, 07 ოქტომბერი, 2015 წელი
13. საქმე #ას-641-607-2015, 25.09.2015
14. საქმე №ას-1610-2019 , სამოქალაქო საქმეთა პალატა , 7 თებერვალი, 2020 წელი. ქ. თბილისი.
15. „საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო საქმეებზე“
16. (2014 წლის II ნახევარი _ 2015 წელი), საქართველოს უზენაესი სასამართლო ეროვნული
17. სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების განყოფილება, თბილისი, 2017, გვ. 156.
18. საქმე №ა-5646-შ-168-2019, სამოქალაქო საქმეთა პალატა. 27 დეკემბერი, 2019 წელი . ქ. თბილისი.

19. საქმე №ას-1525-2019, სამოქალაქო საქმეთა პალატა, 16 დეკემბერი, 2019 წელი. ქ. თბილისი.
20. შდრ: სუსგ Nას-302-285-2017, 16 ივნისი, 2017 წელი; №ას-551-522-2015, 14 აგვისტო, 2015 წელი
21. №ას-847-2019 , სამოქალაქო საქმეთა პალატა, 26 დეკემბერი, 2019 წელი,თბილისი
22. იბ. სუსგ საქმეზე Nას-643-611-2013, 19 ივნისი, 2015 წელი; Nას-437-409-2017; Nას-932-872-2017; Nას196-185-2017; Nას-623-582-2017; Nას-324-307-2017; Nას-747-699-2017
23. სუსგ საქმეზე Nას-1509-1429-2017, Nას-921-2018
24. სუსგ საქმეზე Nას-597-597-2018; Nას-949-885-2017; Nას1248-1168-2017; Nას-320-303-2017; Nას-1151-1071-2017; Nას-1357-1277-2017; Nას1393-1313-2017; Nას-50-50-2018.
25. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის ანგარიში, 9
26. საქმე №2ზ/3700-12 08 ოქტომბერი, 2012 წელი, თბილისი
27. საქმე №2ზ/3700-12
28. იბ. სუსგ საქმეზე Nას-595-554-2017
29. სსსკის 83- ე მუხლის მეოთხე ნაწილი.
30. იბ. იბ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 5 სექტემბრის განჩინება საქმეზე №2ზ/4875-14.
31. იბ. სუსგ საქმეზე Nას-643-611-2013, 19 ივნისი, 2015 წელი; Nას-437-409-2017; Nას-932-872-2017; Nას196-185-2017; Nას-623-582-2017; Nას-324-307-2017; Nას-747-699-2017.
32. სუსგ საქმეზე Nას-833-779-2017;
33. სუსგ საქმეზე Nას-597-597-2018;
34. სუსგ საქმეზე Nას-949-885-2017;

35. სუსგ საქმეზე Nას-523-489-2017;
36. სუსგ საქმეზე Nას1248-1168-2017;
37. სუსგ საქმეზე Nას-271-271-2018;
38. სუსგ საქმეზე Nას-320-303-2017;
39. სუსგ საქმეზე Nას-1151-1071-2017;
40. სუსგ საქმეზე Nას-1357-1277-2017;
41. სუსგ საქმეზე Nას1393-1313-2017;
42. სუსგ საქმეზე Nას-486-454-2017; Nას-50-50-2018.
43. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის ანგარიში, 9.
44. სუსგ საქმეზე Nას-302-285-2017, 16 ივნისი, 2017 წელი.